

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

83-ე ღია საერთაშორისო კონფერენცია

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და ღია-სივრცის ფაკულტეტი

სექცია: არქიტექტურისა და ურბანისტიკის

საკონფერენციო მოხსენება თემაზე:

„გვიანი პერიოდის რენესანსის რომის ურბანული რეკონსტრუქცია“

სტუდენტი: გია რურუა IV კურსი

ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი შაიშმელაშვილი

ყველა ქალაქისთვის დგება პერიოდი, როდესაც იგი საჭიროებს ურბანულ რეკონსტრუქციას, რაც გამოწვეულია ქალაქის: ზრდით, განვითარებით, ისტორიული უბნის შენარჩუნების საჭიროებითა და ახალი სიცოცხლის გაჩენის აუცილებლობით. ეს პრობლემები არ გაჩენილა მე-19 საუკუნეში, ახალი და დიდი ქალაქების ჩამოყალიბების პერიოდში; მსგავს სირთულეებს აწყდებოდნენ: უძველეს ეპოქებში, შუა საუკუნეებში, რენესანსის დროსა და ასე – ჩვენს პერიოდამდე. პრინციპული ქალაქგეგმარებითი მიდგომებისა და რეალიზაციის მასშტაბების მიხედვით ყურადღებას იქცევს დღემდე დამკვიდრებული პრიორიტეტული შეფასების ცვლილებები ქალაქგეგმარებითი რეკონსტრუქციის სფეროში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გვიანი პერიოდის რენესანსის რომის ურბანული რეკონსტრუქცია თავისი მასშტაბურობითა და მიზანმიმართულობით. ხანგრძლივი დროის მანძილზე აღიარებულ ბარონ ოსმანის პარიზის რეკონსტრუქციის ნაცვლად ბოლო ათწლეულებში პირველობა დომენიკო ფონტანას რომის შუასაუკუნეების ცენტრის ფართომასშტაბიანი რეკონსტრუქციისკენ იხრება. თუ რამდენად აქტუალურია დომენიკო ფონტანასა და პაპ სიქსტუს V-ის ერთობლივი რეკონსტრუქცია, შედეგი სახეზე გვაქვს თანამედროვე რომის სახით და პასუხიც სწორედ მასში უნდა ვეძებოთ. ესაა რეკონსტრუქცია: ერთი კაცის (პაპის) იდეალების, პოლიტიკური დაპირისპირებებისა და სოციალური პრობლემების შეჯახების ფონზე.

ჰიპოდამუსის დაგეგმარების პრინციპი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა წამყვანი გენსქემის ფუნქციას რომის ქალაქგეგმარებით მსოფლმხედველობაში. არსებითი ცვლილებები არ მომხდარა მეთხუთმეტე საუკუნემდე, სანამ იტალიაში გამოჩნდებოდა არქიტექტურული ტრაქტატები პრაქტიკოსი არქიტექტორების მიერ; ისინი თვლიდნენ თავს ვალდებულად, რომ მათ არა მარტო უნდა წარედგინათ იდეალური ქალაქის პროექტები, არამედ გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები ლიტერატურული სახით. ფილარეტის ტრაქტატში პირველად ვხვდებით ვარსკვლავის ფორმის ცენტრისკენულ ქალაქს, რომლის ფორმაც მეორდება აღორძინების პერიოდის თითქმის ყველა ტრაქტატში. იდეალური ქალაქის თეორიტიკოსებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლეონარდო და ვინჩის, რომლის ნამუშევრებში ვხვდებით ქალაქის ქუჩების ჭრილის ჩანახატებს, სადაც კომუნიკაციათა სისტემების ისტორიაში პირველადაა გამოსახული და ნაჩვენები ორდონიანი კავშირები; დონეთა სხვაობა ჰყოფს ქუჩებს არა მარტო სატრანსპორტო და საფეხმავლო ნაწილებად, განსხვავებული სოციალური ფენის წარმომადგენლებისთვისაც სხვადასხვა დონეებია აღნიშნული.

კვატროჩენტოს პერიოდში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, რომ ქალაქი აჰყოლოდა რენესანსის მოთხოვნებს... ჰუმანიზმი წამოიჭრა წინა პლანზე და ადამიანის თემა გახდა წამყვანი ლათმოტივი ხელოვნებაში. ალბათ,

ჰუმანურობა იმის მიზეზი, რომ ადამიანური მასშტაბის შეგრძნება გახდა უმთავრესი საქალაქო სივრცეში; ანტიკური არქიტექტურა აშენებდა ღმერთებისთვის, რომანული და გოთიკური – ადამიანისთვის, რომელიც ღმერთთან მიდიოდა, ხოლო რენესანსის არქიტექტურა – ადამიანისთვის, რომელიც ღმერთს იწვევდა თავისთან.

შუა საუკუნეების გაუჩინარებასთან ერთად რომმა განიცადა შესამჩნევი ცვლილებები, რამაც ფართოდ შეცვალა მისი ასპექტები. ქალაქი იყო სცენა, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდა ბარონი, პაპი და ანტი-პაპისტი საზოგადოება; ამ შუა საუკუნეობრივმა ქალაქმა დაიწყო ახალი ცხოვრება რენესანსის შემოჭრასთან ერთად.

„ყველა გზა რომში მიდის“ – ესაა ფრაზა, რომელიც სრულად ასახავს მე-16 საუკუნის რომის მდგომარეობას, რამდენადაც თავისი ფუნქციით იგი იყო ერთგვარი ორიენტირი მოგზაურებისთვის და საღმრთო ქალაქი პილგრიმთათვის. როგორც პაპის სახლი, კათოლიკური კურია, ასევე ძალიან ბევრი სანახაობის თუ მოციქულების პატივსაცემად მიძღვნილი რელიქვიების, ქრისტიან მოწამეთა და წმინდანთა ღოკაცია, იგი ითვლებოდა პილგრიმთა საბოლოო დანიშნულების ადგილად. ქრისტიანული რომი ემსახურებოდა პილგრიმთა და მოგზაურთა დამოუკიდებელ მიზნებსაც; რომი იყო მთავარი ორიენტირი რუკებზე; სწორედ ასეთი რუკა შეადგინეს მე-12 საუკუნეში, რომ მოგზაურებს საჭიროებისამებრ მიემართათ ქალაქისათვის. რომის რუკა ეხმარებოდათ, რომ გასულიყვნენ ქალაქიდან, რომელიც სავსე იყო მონუმენტური ნაგებობებითა და ბაზილიკებით; ქალაქიდან, რომელიც გამუდმებით იცვლიდა იერ-სახეს რეკონსტრუქციებისა და ახალი მშენებლობების ხარჯზე. ზოგიერთი რუკა შედგენილი იყო ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. ქალაქს გაუჩნდა ახალი სასიცოცხლო ფუნქცია და მას ეს დანიშნულება მიანიჭა 1585-90 წლებში მოღვაწე პაპმა სიქსტუს V-მ.

არ შეიძლება რომის რეკონსტრუქციაზე ვილაპარაკოთ და გვერდი ავუაროთ პაპის პიროვნულ თვისებებს, რამაც განმსაზღვრელი როლი ითამაშა რომის შემდგომ ფორმირებაში. ერთგვარად, საინტერესო პიროვნება იყო პაპი სიქსტუს V: ერთდროულად აღიარებული და უარყოფილი თავისი თანამედროვე რომაელების მიერ. საკუთარი ამბიციების ერთგულ მიმდევარს დაბრკოლებების გადალახვაში სიკვდილი უშლის ხელს; სხვა პრობლემის მოგვარება დროის საკითხს წარმოადგენდა მისთვის. „მიზანი ამართლებს საშუალებას“, მაგრამ პაპი იყენებს მხოლოდ ერთ საშუალებას; ესაა – სტატუსი, თავისი ეპოქის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელსაც ვანდალიზმისთვის ისეთივე წარმატებით იყენებს, როგორც მშენებლობისთვის. მას უწოდებენ „უდრეკ პაპს“, რომელმაც ნამდვილი „მიწისძვრა მოახდინა“ რომში.

პაპ სიქსტუს V-ს ჰქონდა „მოზღვავებული“ ენერგია, რის დახარჯვასაც გეგმავდა ქალაქის აღმშენებლობაში; მას უყვარდა მშენებლობა და უნდოდა აღემართა ისეთი არქიტექტურული ძეგლები, რომელიც სამუდამოდ იქნებოდა დაკავშირებული მის სახელთან. თავისი თანამედრობის დაკავების დღიდან (1585-1590 წწ) პაპს ჰქონდა გარკვეული იდეები და გეგმები, რომელთა განხორციელება მიანდო თავის არქიტექტორსა და მეტად მნიშვნელოვან ფიგურას – დომენიკო ფონტანას, რომელიც იზიარებდა პაპი სიქსტუსის შეხედულებებს.

დომენიკო ფონტანა იყო გვიანი პერიოდის რენესანსის იტალიელი არქიტექტორი და ინჟინერი, რომელიც მუშაობდა მხოლოდ იტალიაში. ის დაიბადა მედიდში (დღევანდელი ტიჩინო) 1543 წელს და გარდაიცვალა ნეაპოლში 1607 წელს. იგი რომში წავიდა მიქელანჯელოს გარდაცვალებამდე და მოიპოვა კარდინალ მონტალტოს ნდობა, მოგვიანებით კი პაპ სიქსტუს V-სი, რომელმაც მას ანდო „კაპელა დელ პრესეპიოს“ აღმართვა „სანტა მარია მაჯორეს“ ბაზილიკაში; იმავე პაპის დავალებით ააშენა „პალაცო მონტალტო“ „სანტა მარია მაჯორესთან“ ახლოს. ფონტანას ეკუთვნის სხვა მრავალი არქიტექტურული გადაწყვეტები, მათ შორის ობელისკის აღმართვა წმინდა პეტრეს მოედანზე (327 ტონის სიმძიმის ობელისკის აღმართვას დასჭირდა 900 კაცი და 75 ცხენის ძალის გაერთიანებული მოქმედება); წყლის არხის გაყვანა კვირინალის ბორცვზე; პაპი სიქსტუს V-ის პონტიფიკაციის პერიოდში დააპროექტა და განაახლა რომის ურბანული სტრუქტურა სისტინასა და სხვა ქუჩების გახსნით, რომელიც მიმართული იყო სანტა მარია მაჯორედან სან ჯოვანი ლატერანისკენ, სანტა კროცესა და სან ლორენცოს მხარეს. დომენიკო ფონტანას უამრავი შემოქმედებიდან უნდა აღინიშნოს პალაცო დელ ლატერანოს ფასადი, კაპელა დელ სანტისიმო, სანტა მარია მაჯორეს საკურთხეველი – კაპელა დელ პრესეპიო და სანტ საბინას სახელობის ეკლესიის ინტერიერი. 1592 წელს მან შეასრულა ჰიდრავლიკური და არქიტექტურული სამუშაოები ნეაპოლში: სარნოს აკვედუკი – პალაცო რეალეს რეკონსტრუქცია.

როგორც ზიგფრიდ გიდიონი აღნიშნავს: „დომენიკო ფონტანა იყო თანამედროვე ქალაქმშენებელთა ის ერთ-ერთი წინამორბედი, რომელიც ქალაქს განიხილავდა ერთიან რთულ ორგანიზმად; მისი სწორი და ფართე ქუჩები სოციალური მოთხოვნებით იყო გამართლებული“ (გიდიონ ზ. „სივრცე, დრო, არქიტექტურა“ მ. 1977წ). ფონტანამ პირველმა გაჭრა მძლავრი ქუჩები ქალაქის არსებულ განაშენიანებაში ისე, რომ სრულიად შეინარჩუნა მთავარი ანსამბლები ახალ დაგეგმარებაში; ისინი აქცია ამ ქუჩათა სისტემის დამაგვირგვინებელ ნიშანსვეტებად.

„როგორც ნაპოლეონ მესამე ილტვოდა პარიზისკენ მე-19 საუკუნეში, ისე ილტვოდნენ პაპები რომისკენ მე-16 საუკუნეში.“ სიქსტუს V-მ ას ოცდახუთი ქუჩა გაიყვანა, რათა პილგრიმებს შესძლებოდათ წმინდა ადგილების მოლოცვა

ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ისიც მთელი ქალაქის შემოვლით. ხუთ წელში ძველი და ახლი ქალაქის საზღვრები გაერთიანდა, მაგრამ პაპს აკრიტიკებდნენ ახალი ქუჩების გაყვანისთვის.

პაპს სურდა რომის გადაქცევა წმინდა ქალაქად, რომელიც კავშირში იქნებოდა ღმრთის ყოფადობასთან, ურბანულ ღერძებზე მდებარე არქიტექტურული შენობებითა და ობელისკებით; რომი უნდა ქცეულიყო მთელი მსოფლიოდან თავმოყრილ პილგრიმთა ქალაქად. ფიზიკური და ვიზუალური კორიდორების შექმნით არსებული შენობების გავლით სიქსტუს V-მ და დომენიკო ფონტანამ გამოკვეთეს დერეფნული კავშირები ეკლესიიდან ეკლესიამდე და წმინდა სივრციდან – წმინდა სივრცემდე. თითოეული კავშირისა და ახლად ფორმირებული გზების ბოლოს ამ ორმა მოაზროვნემ აღმართა ობელისკები, რომელიც ქმნის ვიზუალურ ფოკუსს. დღევანდელი რეალობა ცხადყოფს, რომ მათ მიადწიეს წარმატებას; შეგიძლია სცადო გაუყვე გზას „ვია დელ კორსოდან“ „სანტა მარია მაჯორესკენ“. ეს ურბანული კორიდორები დღესაც აძლევს მიმართულებას ხალხს ქალაქის შემოსაველელად. საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა ახალი ქუჩათა ქსელი, რომელიც აკავშირებს შვიდ ბაზილიკურ ეკლესიას; რომის პილგრიმთა შვიდი ეკლესია არის რომის უძველესი და უმთავრესი ეკლესიები. ფრანზინის (1595წ) მიხედვით ისინი შემდეგნაირადაა განლაგებული მიმდევრობით: სან ჯოვანი ლატერანო, სან პიეტრო (წმინდა პეტრეს ტაძარი), სან პაულო, სანტა მარია მაჯორე, სან ლორენცო, სან სებასტიანი და სანტა კროცე. ოთხი ქუჩა მიმართული „სანტა მარია მაჯორედან“ ბოლოვდება შენობით ან შენობათა ჯგუფით ფართე მოედნის ირგვლივ. თავისი გეგმის შემუშავებისას ფონტანამ გამოიყენა უძველესი ქალაქების გეგმარებითი სტრუქტურა. როცა მან წარადგინა თავისი გეგმა, მრავალი მონუმენტი უკვე არსებობდა, მათ შორის „სანტა მარია მაჯორე“ „ლატერანი“ და სხვა ეკლესიები. „პიაცა დელ პოპოლო“ იყო ქუჩათა ქსელის გეგმის ნაწილი; ესაა სამგზავრო საშუალებების მოედანი, საიდანაც გადის სამი სატრანსპორტო არტერია ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. დელ პოპოლოს მოედანი არის საკვანძო ადგილი, როგორც კათოლიკური რომის ერთგვარი ვესტიბული. იდენტური ეკლესიების განთავსება გზის ორივე მხარეს არის სიმეტრიის დიდებული მაგალითი რენესანსის ეპოქაში. ჩვეულებისამებრ, ეკლესიები არ შენდებოდა წყვილ-წყვილად. ობელისკების ჩასმით ფონტანამ ქალაქს შეუქმნა ორიენტირები, ხოლო მთავარი იდეა ის იყო, რომ დაეკავშირებინა ისინი ერთმანეთთან და ვიზუალური აქცენტები გაკეთებულიყო მათზე.

„ჩვენმა მეუფემ (სიქსტუს V-მ) გზის შემსუბუქების სურვილით, ვისაც სურს, რომ მოინახულოს რომის სახელგანთქმული შვიდი ეკლესია, დააგო და გაიყვანა მრავალი სწორი და მოხერხებული ქუჩა. ამდენად, ყველას მიეცა საშუალება,

პირდაპირი გზით მიაღწიოს ყველაზე სახელგანთქმულ სიწმინდეებამდე” (დომენიკო ფონტანა – „ჩვენი მეუფის მიერ გაყვანილი გზების შესახებ“).

ფონტანას ესმოდა, რომ საჭირო იყო აქცენტირების ძლიერი ვიზუალური სისტემა, რათა შეექმნა ქალაქის დაპროექტების ამომწურავი კონცეფცია. მან ამოცანის პასუხი ობელისკებში იპოვა, ხოლო პაპი სიქსტუსი შეუდგა ამ ობელისკების ღია სივრცეებში განთავსებას. მათი აღმართვით გეომეტრიული სივრცეები გახდა არა ხისტი, არამედ – მოსახერხებელი და დინამიკურად პერსპექტიული. პაპი სიქსტუს V-ს მოღვაწეობის პერიოდში ფონტანამ კალიგულას მიერ ჩამოტანილი ობელისკი ათვლის წერტილად აქცია. ოთხი ეკლესია, რომელსაც აქვს პატრიარქალური ობელისკი არის: სან პიეტრო, სან ჯოვანი ლატერანო, სან პაულო და სანტა მარია მაჯორე;

ისინი ასევე შეიცავს ორ მინორულ ბაზილიკას: სენტ ლოურენსის ბაზილიკა „კედლის გარეთ“ და წმინდა ჯერის ბაზილიკა იერუსალიმში (მოგვიანებით, უკვე 2000 წელს, პაპმა ჯონ პაულ მეორემ შეცვალა პილგრიმთა რუტინული გადაადგილება სან სებასტიანის ბაზილიკის დამატებით. ჩვეულებისამებრ, მლოცველები არჩევენ, რომ ჯერ მოიარონ პირველი შვიდი ეკლესია და უკვე შემდგომ სტუმრობენ სან სებასტიანის ბაზილიკას ინდულგენციისთვის).

ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად პაპებიც არ იყვნენ დაცულნი შურისაგან, ამიტომ მათ ერჩივნათ აეშენებინათ ახალი ნაგებობა, ვიდრე დაემთავრებინათ მათ წინა მყოფი პაპის მიერ დაწყებული მშენებლობა. სიქსტუს V-ის მიღწევაც მორგებულია ამ სიტუაციას: მან დააარსა საპროექტო კარკასი მთლიანი ქალაქისთვის და შექმნა სამშენებლო შესაძლებლობები თავისი შემდგომი პაპებისათვის, რომ დაეკმაყოფილებინა მათი ეგო.

პაპმა სიქსტუს V-მ თავისი პონტიფიკაციის ადრეულ წლებში გამოავლინა სურვილი, რომ ლატერანში აღემართა სამყოფელი, პაპის ღირსი და შესაფერისი. თავისი კორონაციის ცერემონიისას იგი დააკვირდა ვითარებას და მას საუბარი ჰქონდა კარდინალთან იმის თაობაზე, თუ როგორი აფსურდული იყო, რომ პაპსა და მის ქვეშევრდომებს არ ჰქონდათ შესაფერისი შენობა, რომელიც მათ „შეიფარებდა“. ასეთი შენობის აღმართვის იდეა ჰქონდა პაპი სიქსტუსის ორ წინამორბედ პაპსაც (ნიკოლას IV და სიქსტუს IV), ისეთივე ფრანცისკანელებს, როგორც თავად იყო, მაგრამ მათი იდეა არ განხორციელებულა; ახლა კი იგი ამ საკითხს სისრულეში მოიყვანდა. სინამდვილეში მან ორი საქმე წამოიწყო: ძალიან მაღე აღმართა გაჭიმული სასახლე, რომელიც დომენიკო ფონტანამ ააშენა და გზის გაყოლებაზე განთავსდა პაპების სასახლე – კვირინალი, რომლის ნაწილიც აშენდა სიქსტუსის წინმორბედის დროს და დასრულდა თავისი შემდგომი პაპის პაულ V-ის პერიოდში; ამ სასახლის წინ მდებარე მოედანზე გადმოიტანეს ქანდაკებების ორი კოლოსალური ჯგუფი, რომელიც

იქცა მოედნის ერთ-ერთ სახასიათო ელემენტად და რომელმაც მოედანს მისცა სახელი – მონტე კავალო.

მას მერე, რაც სიქსტუსი გახდა პაპი, ის შეუდგა თავისი სურვილების განხორციელებას; ხალხი ხედავდა თუ როგორ იყო დასაქმებული ათასობით ადამიანი იმ ნაგებობათა მშენებლობაში, რომლის დასრულებაც განზრახული ჰქონდა პაპს თავისი მოღვაწეობის პერიოდში. გადაწყვიტა რა, გაეერთიანებინა ზედა და ქვედა ქალაქი, ე.ი. დაეკავშირებინა ლატერანი და ვატიკანი, ეს იყო ბრწყინვალე იდეა, რომელიც ხელს შეუწყობდა ზემო რომის პოპულარიზაციას, რაც დღევანდელობამდე გადაუჭრელ პრობლემად იყო შემორჩენილი. ამ მიზნით პაპმა (რა თქმა უნდა, ამ ურბანული გადაწყვეტების ავტორი იყო დომენიკო ფონტანა) გაიყვანა საოცარი გზები, რომელიც აკავშირებდა „სანტა კროცეს“ და „სანტა მარია მაჯორეს“ ბაზილიკებს „ტრინიტა დი მონტესთან“, ხოლო „კვირინალის“ – „პორტა პიასთან“; ასევე, სხვა გზებიც იყო გაყვანილი მის მიერ, რომ დაეკავშირებინა ლატერანი და კოლიზეუმი, ვიმინალის ბორცვი „ფორუმ ტრაიანუმთან“, თავისი გაგრძელებით გზის გასწვრივ, რომელსაც ეძახდნენ „ვია პაპალეს“. იმისათვის, რომ გაეზარდა ახალმოსულთა რაოდენობა, განსაკუთრებით კი იმათი, ვინც არ იყო დაბადებული რომში, რომ მათ ეცხოვრათ ახლად გაყვანილი გზების მიმდებარედ, პაპმა დააწესა გარკვეული პრივილეგიები მაცხოვრებელთათვის: მათი სახლები არ დაექვემდებარებოდა კონფისკაციას, ხოლო ორწლიანი ცხოვრების შემდეგ ისინი იღებდნენ ისეთივე პრივილეგიებს, როგორიც ჰქონდათ რომის მოქალაქეებს.

რომის მოქალაქეებსა და არა რომაელებს შორის იყო განსხვავება ქალაქში ცხოვრების წესისა და უფლებების მიხედვით; ეს საკითხი რეგულირდებოდა. ქალაქი აღმოჩნდა მსგავსი პრობლემის წინაშე ტერიტორიის გაფართოებისა და მოსახლეობის ზრდის გამო. მაგრამ, ნაწილობრივ, იგი გამოწვეული იყო ხელოვნურად. პაპის მიზანი იყო, რომისთვის დაებრუნებინა ძველი დიდება, ამჯერად, ღმრთის სახელითა და ქრისტიანული სარწმუნოების მფარველობის ქვეშ. ქალაქს შესძინა სიცოცხლისთვის აუცილებელი ფუნქცია და გადააქცია იგი საღმრთო ადგილად.

რომის გაფართოებასთან ერთად აუცილებელი იყო მისი წყლით მომარაგების პრობლემის გადაჭრა, რასაც პაპი აპირებდა უძველესი რომაული ტრადიციის გამოყენებით: მან გადაწყვიტა, ერთმანეთთან დაეკავშირებინა უამრავი ნაკადული პალესტრინას გარეუბანში 20 მილის სიგრძის სახმელეთო არხებისა და 7 მილის სიგრძის თაღიანი აკვედუკების საშუალებით. ერთი შეხედვით, ამდენი სამუშაოს წამოწყება და მათი დასრულება წარმოუდგენლად ჩანდა ერთი ადამიანის პონტიფიკაციის პერიოდში, მაგრამ პაპმა განაცხადა: „არ მივცემ საკუთარ თავს უფლებას, რომ შემეშინდეს სირთულეებისა და წარმოუდგენლად დიდი დანახარჯების“. და პაპის პონტიფიკაციის მესამე წლის

დასრულებამდე წყალი, რომელსაც მან უწოდა „აკვა ფელიჩე“, მიედინებოდა პორტა პიაზე აშენებული შადრევნიდან კვირინალისკენ.

გარდა იმისა, რომ პაპი ესწრებოდა ამ დიდ მშენებლობებს, იგი ნაკლები მნიშვნელობის რეფორმებითაც იყო დაკავებული, რომ შედარებით გაზრდილ ქალაქში ყოფილიყო წესრიგი და არ დამყარებულიყო არეულობა. პაპი არ ივიწყებდა თავის სლავურ წარმოშობას და აღმართა სან შიავონის ეკლესია და საავადმყოფო; აღადგინა სანტა საბინას ეკლესია, გააუმჯობესა რომის უნივერსიტეტის „საპიენზას“ პირობები, სადაც ის იყო რექტორი; მან გაიღო ფულადი შემოწირულობა და გააფართოვა უნივერსიტეტის შენობა; მან შექმნა მონასტრები და ღარიბთა ჰოსპიტალი პონტე სისტოს გვერდით. მან ასევე დაამატა ჰოსპისი იმ პილგრიმთათვის, რომლებიც ესტუმრებოდნენ რომს და სადაც მათ შეეძლოთ დაესვენათ სამი დღის განმავლობაში.

ზემო რომის გაზრდისა და აღმშენებლობის მიუხედავად პაპთა სამყოფელი, მაინც, ვატიკანში მდებარე წმინდა პეტრეს ბაზილიკა იყო. 1565 წელს მიქელანჯელოს გარდაცვალების შემდეგ კათედრალის დასრულებას შეუდგნენ: ვინიოლა, ლიგორიო და დელა პორტა, მაგრამ გუმბათი აუშენებელი დარჩა. პაპმა სიქსტუსმა თავის მიზნად დაისახა მისი სისრულეში მოყვანა და ეს საქმე დაავალა თავის ერთგულ არქიტექტორს – დომენიკო ფონტანას, რომელიც ჯაკომო დელა პორტასთან ერთად მუშაობდა; მაგრამ პაპი გრეგორი XIV-ის პონტიფიკატის პირველი შვიდი თვე საკმარისი აღმოჩნდა გუმბათში გაჭრილი თაღებისთვის ბოლო შტრიხების შესატანად, რასაც პაპი სიქსტუსი ვერ მოესწრო.

თავის თანამედროვეებში პაპი სიქსტუსის პერიოდში შესრულებული სამუშაოებიდან არც ერთი პროექტის განხორციელებას მოუხდენია ისეთი დიდი შთაბეჭდილება, როგორც წმინდა პეტრეს ტაძრის წინ კალიგულას მიერ ჩამოტანილი ეგვიპტური ობელისკის გადმოტანას ნერონის ცირკიდან და მის აღმართვას. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სამუშაო, რომელსაც ყურადღება მიაპყრო პაპმა. ამ ობელისკის გადატანა და აღმართვა მისი გატეხვის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდათ მიქელანჯელოსა და ანტონიო სანგალოს. სპეციალურად შემდგარი კომისია მოითხოვდა, შეემოწმებინათ დომენიკო ფონტანას მიერ შერჩეული პროექტი, რომელიც ჩანდა უსაფრთხო და ემყარებოდა მაქსიმალურად ზუსტ გამოთვლებს. არქიტექტორისა და პაპის შურიან მეტოქეებს ჰქონდათ უშედეგო მცდელობა, რომ გადაერწმუნებინათ პაპი და ბზარი გაეჩინათ გაბედული არქიტექტორის გადაწყვეტილებაში. მაგრამ რამდენიმე თვეში მას მერე, რაც სიქსტუსი აირჩიეს პაპად, დაიწყო სამუშაოები: სვეტები აღიმართა ობელისკის წინ, რკინის ფირფიტები შემოარტყეს, დამზადდა ამწეები და ყველა პირობა შეიქმნა, რომ იდგა სისრულეში განხორციელებულიყო. სამუშაო აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა და 1586 წლის მაისისთვის ყველაფერი

მზად იყო, რომ სვეტი განეთავსებინათ ჰორიზონტალურად და გადაეტანათ ახალ ადგილას. აღმართვის პროცესს თვალს ადევნებდა კარდინალი და უამრავი წარჩინებული დიდგვაროვანი. მთავრობამ გამოსცა ბრძანება მოქალაქეებისთვის, რომ განსაკუთრებული სიჩუმე დაეცვათ ობელისკის აღმართვისას და ამ სიჩუმესა და დაძაბულ მდგეღვარებაში დაიწყო ობელისკის განთავსება წმინდა პეტრეს ტაძრის წინ. 1586 წლის 10 სექტემბერს ეგვიპტური ობელისკი ამშვენებდა „სან პიეტროს“ წინ მდებარე მოედანს.

იდეას, რომ წარმართულ მონუმენტს ჰქონოდა კათოლიკური სიდიადის წარმოჩინების მნიშვნელობა, ჰქონდა განსაკუთრებული მიზიდველობა პაპისთვის, რომელსაც ეჯავრებოდა წარმართობა, ხოლო ობელისკზე ამოტვიფრულ წარწერაში წერია, რომ ამით მან ქრისტიანულ კულტს დაუქვემდებარა წარმართობა მისი უწმინდური ცრუმორწმუნეობის მოსნანნიებლად. იმავე მიზეზით განათავსა სანტა მარია მაჯორესა და დელ პოპოლოს წინ ობელისკები, რომელზეც წმინდა მოციქულების (პეტრესა და პავლეს) პატივსაცემად განათავსა მათი ქანდაკებები.

რომის გეგმარებით დერძე საჯარო სივრცეებს ქმნის მთავარი ქუჩებისა და საჯარო მოედნების კომბინაცია. შექმნილი მოდელი არის ქალაქი, სადაც სივრცეები და შენობები ხელს უწყობს საყოველთაო ურბანული გარემოს ფორმირებას ცოცხალი ადგილებითა და ორიენტირების შეგრძნებით. ამასთან, ქრისტიანობის ტრიუმფი წარმართობაზე გამოიხატა იმაშიც, რომ უძველეს მონუმენტებს მიენიჭა ახალი ინტერპრეტირებული მნიშვნელობა. ფონტანამ მოახდინა ტრიაანესა და მარკუს ავრელიუსის სვეტების რეკონსტრუქცია, ხოლო პაპმა მათ წვეროზე განათავსა წმინდა მოციქულთა: პეტრესა და პავლეს ქანდაკებები დიდი პატივისცემით. ასევე, სულ მცირე ოთხი ობელისკი გადაიტანეს ქალაქის სხვა ადგილზე, რომ ისინი ქვეულიყო კონტრ-რეკონსტრუქციის ნაწილად, როგორც დანამატი ჯვრისთვის. ისინი განათავსეს: „პიაცა დელ პოპოლოზე“, „პიაცა სან ჯოვანიზე“, „სანტა მარია მაჯორეს“ წინ მდებარე მოედანსა და „პიაცა სან პიეტროზე“. ობელისკზე ამოტვიფრული მზის ეგვიპტური სიმბოლო იქცა ქრისტიანობის წარმართობაზე გამარჯვების სიმბოლოდ.

პაპის ეს ქმედება რომ განვიხილოთ, ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება არა მხოლოდ იმიტომ რომ, იგი მოითხოვდა რთულ კონსტრუქციულ გათვლებსა და ელემენტების გამოყენებას, არამედ იმიტომ, რომ ამით მან პირველმა შეუცვალა ობიექტს მყოფადობის არსი და მისცა მას ახალი დანიშნულება; ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა იყო თუ არა ეს ობელისკი აგებული რომში... პაპმა, უბრალოდ, მივიწყებული ნივთი აღმართა ახალ ადგილას ახალი სახელით, რითაც წაიშალა მისი პირველი ფუნქციის აზრი და გაჩნდა ამ ობელისკის ახლებური ხედვის წერტილი. მართალია, ამ

კუთხით ამ საკითხის განხილვა იმ პერიოდში არ მომხდარა, მაგრამ სწორედ მსგავს ხერხს იყენებს და პიონერის სახელს იმკვიდრებს XIX-XX სს-ში მოღვაწე მარსელ დუშამი, როცა გამოფენებზე მას გამოაქვს საყოფაცხოვრებო ნივთები ახლებური ინტერპრეტაციით და ამ გზით აჩენს ახალ ფიქრს უკვე ნაცნობ ნივთებზე.

ურბანულ ჭრილში რომ განვიხილოთ, რომი გადაიქცა პოლიფუნქციურ ქალაქად: კულტურა, ხელოვნება, ვაჭრობა, რელიგია – ეს ის ფუნქციებია, რასაც რომი ითავსებდა და რამაც ხელი შეუწყო, რომ იგი ფლორენციის გვერდით მდგარიყო. ქალაქის სტრუქტურა და ძირითადი მიმართველი ღერძები გამოკვეთილი იყო; ნათლად ჩანდა მომავალი განვითარების პერსპექტივები... ქალაქში გაჩნდა ღია და თავისუფალი სივრცეები, მოედნები თავისი ორიენტირებითა და დამაგვირგვინებელი ეკლესიებით. ერთმანეთს შეერწყა ქალაქის ზემო და ქვედა ნაწილები და მათ შორის გაჩნდა განივი კავშირები. ვატიკანი აღარ იყო მოწყვეტილი იმ შვიდ ბორცვს, რომელზეც ჩამოყალიბდა რომის თავდაპირველი საქალაქო სტრუქტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

theconversation.com

cardinalscholar.bsu.edu

www.marxists.org

archinect.com

www.researchgate.net

psychological-musings.blogspot.com

architectures.danlockton.co.uk

www.academia.edu

en.wikipedia.org

„Теория Города” И Ржи Груза

„Marcel Duchamp, Art as Anti-Art” Janis Mink